სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2019 წლის 13 მაისის №106/01-01 ბრძანების საფუძველზე **გეოგრაფიის** დეპარტამენტში (რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარების კათედრა; ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა); გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2019 წლის 7 ივნისის №63/2019** დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი #1

ქ. თბილისი **5 ივლისი 2019**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 13 მაისის №107/01-01 ბრძანებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში, რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარების კათედრისა და ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის პროფესორის, სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა ორი განაცხადი. თსუ აკადემიური საბჭოს **2019 წლის 7 ივნისის №63/2019** დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას.

კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

1. დავით კერესელიძე - თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

2. მელორ ალფენიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

3. ლამზირა ლაღიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

4. დალი ნიკოლაიშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

5. ელენე სალუქვაძე - თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, გეოგრაფიის დოქტორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუ

სტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის

რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარების კათედრასა და ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრაზე, პროფესორის ორ ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფ. დავით კერესელიძის შემაჯამებელი ინფორმაცია, კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია, რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარების კათედრისა და ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის კონკურსანტების **ნოდარ ელიზბარაშვილისა და ზურაბ სეფერთელაძის** მიერ წარმოდგენილ ანკეტებში, მოცემული ინფორმაციის საფუძვლეზე, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4).

1. რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარების კათედრის კონკურსანტის **ნოდარ ელიზბარაშვილის** შეფასება:

კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ, შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".

შეფასების II კატეგორიაში "პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.) კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

შეფასების III კატეგორიაში "სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კონკურსანტის მიერ

კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი, კომისიის მიერ შეფასდა როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი. კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე.

შეფასების IV კატეგორიაში "კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" და "დამატებითი ინფორმაცია" მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე, როგორიცაა: მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელნძღვანელობა; დარგობრივი საბჭოების კომისიების წევრობა; კომპიუტერული პროგრამების ფლობა; საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრობა და მრავალი სხვა, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა შემდეგ სამეცნიერო თემატიკას: 1.ლანდშაფტთა კომპლექსური კადასტრი, გეოინფორმაციულ მონაცემთა ბაზების შექმნა; 2. ტერიტორიის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება; 3.გარემოზე ზემოქმედების შეფასება; 4. გეოგრაფიული პროგნოზირება (საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი და საზოგადოებრივ-საბუნებისმეტყველო გეოგრაფიული მიმართულების სახით); 5.ლანდშაფტის მართვა; 6. ლანდშაფტის მომსახურება.

გასაუბრებისას კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი, სამეცნიერო და საგანმანათლებო საკითხების ღრმა ხედვა. პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარების კათედრაზე, პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის კონკურსანტის **ზურაბ სეფერთელაძის** შეფასება:

კონკურსის I ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი №4).

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი მონაცემების (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი) საფუძველზე, კომისიის მიერ კონკურ-

სანტი შეფასდა კრიტერიუმით "კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".
შეფასების II კატეგორიაში "პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მოცემული მონაცემების (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, სილაბუსები და სხვ.) საფუძველზე, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

შეფასების III კატეგორიაში "სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა" წარმოდგენილი მონაცემების საერთაშორისო პუბლიკაციები, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი, კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი. კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე.

შეფასების IV კატეგორიაში "კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა" და "დამატებითი ინფორმაცია" მოცემული ჩამონათვალის საფუძველზე, როგორიცაა: სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელობა, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა; დარგობრივი კომისიების წევრობა; კომპიუტერული პროგრამების ფლობა; საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრობა და მრავალი სხვა, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით "მაღალი".

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა შემდეგ სამეცნიერო თემატიკას: 1. ბუნებათსარგებლობის ძირითად მიმართულებებს, ლანდშაფტურ-ფუნქციალურ ზონებს; 2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმებს; 3. ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონირებისას, სუბტროპიკული კულტურების გავრცელების არეალში, აგროკლიმატური მახასიათებლებისა და ატმოსფერული პროცესების გავლენას.

გასაუბრებისას კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი, სამეცნიერო და საგანმანათლებო საკითხების ღრმა ხედვა. პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრაზე პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, კომისიის ხუთივე წევრმა, მხარი დაუჭირა, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარების კათედრის პროფესორის თანამდებობაზე **ნოდარ ელიზბარაშვილისა** **და** ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის პროფესორის თანამ-დებობაზე **ზურაბ სეფერთელაძის** კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის დეპარტამენტის,რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგეგმარებისა (1 ადგილი) და ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის (1 ადგილი) კათედრებზე , ორ ვაკანტურ თანამდებობაზე, სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპის შეჯამებით და ფარული კენჭისყრის ბიულეტინების დათვლის შედეგად (5 ხმა დადებითი, წინააღმდეგი 0), გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატები:

გეოგრაფიის დეპარტამენტი:

კათედრა -რეგიონალური გეოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგეგმარება
ნოდარ ელიზბარაშვილი (პროფესორი);

კათედრა- ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია
ზურაბ სეფერთელაძე (პროფესორი).

კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრები:

1. დავით კერესელიძე (კომისიის თავმჯდომარე)
2. მელორ ალფენიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ლამზირა ლაღიძე (კომისიის მდივანი)
4. დალი ნიკოლაიშვილი (კომისიის წევრი)
5. ელენე სალუქვაძე (კომისიის წევრი)